საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 52 09/10/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზეგნის ადმინისტრაციულ ერთეულში 30.00.474 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ხიდის დემონტაჟსა და გიგაშვილების უბანში გადატანაზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და სოფელ ზეგანში მერის წარმომადგენლის 2020 წლის 2 ოქტომბრის №1969-41 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ბაღდათის მუნციიპალიტეტის მერიას, საკუთარი ძალებით უზრუნველყოს, ზეგნის ადმინისტრაციულ ერთეულში 30.00.474 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ხიდის დემონტაჟი და მისი გადატანა გიგაშვილების უბანში;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე